ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ62. 62242207**
თარიღი:**07/08/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 22 აპრილის №5/22670 მომართვის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 05 აგვისტოს №g-63.63242184 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 700 (შვიდასი)ლარი.

1.3. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარი.

1.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (325.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.002) არსებული №1 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 283,15 კვ.მ) საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარი.

1.5. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.5.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.5.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.5.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნული 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

1.6. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი